კოლეჯის ისტორია

‘’გლეხებსა და აზნაურებს, თუმცა ხელთ აქვთ უძრავი სიმდიდრე ბუნებისა, არ შეუძლიათ მითი სარგებლობა. იმათ, გარდა წარღვნისდროინდელი საშუალებებისა, არ იციან არავითარი სხვაგვარი მამულისა და ბაღ-ვენახის შემუშავება. არ არის საჩვენებელი ფერმა, სადაც მათ და მათ შვილებს შეეძლოთ ენახათ შეკეთება მიწის და სამეურნეო იარაღებისა, რომელნიც გაუადვილებენ გაუადვილებენ მამულის მეპატრონეთ მუშაობას.“-წერდა ი. წინამძღვრიშვილი 1883 წელს გაზეთ ‘’დროებაში’’.

იმ დროისათვის დუშეთის მაზრაში, სადაც მაშინ მოსახლეობის რაოდენობა 56764 სულს შეადგენდა, მხოლოდ ერთადერთი სკოლა არსებობდა, ხოლო საგურამოს ახლომდებარე სოფლებს კი არც ერთი სკოლა არ გააჩნდათ. ი. წინამძღვრიშვილი ამ მოვლენით ხსნიდა ხალხის ეკონომიური მდგომარეობის დაქვეითებას.

ილია წინამძღვიშვილის აზრით, ‘’მამულის გაკეთება და ნივთიერის ცხოვრების წინ წასვლა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავცელებით მცხოვრებთა შორის. „

1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის დიდი ძალისხმევით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერითა და დახმარებით, წინამძღვრიანთკარში გაიხსნა საქართველოში პირველი სასოფლო - სამეურნეო სკოლა. სკოლაში სწავლა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წესდებით და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამებით მიმდინარეობდა.

სკოლაში ისწავლებოდა: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმოება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეტყევეობა.

ილია წინამძღვრიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული სწავლაში თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობა. მან საკუთარი მამულიდან სკოლას გადასცა 55ჰა მიწა. სკოლას გააჩნდა, აგრეთვე, საერთო საცხოვრებელი.

1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა, 1928წლიდან ეწოდა_ წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ – საჩვენებელი სასოფლო – სამეურნეო სასწავლებელი.

1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო- სამეურნეო ტექნიკუმი. 1966 წლიდან იწოდება წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ – ეკოლოგიურ კოლეჯად, ხოლო 2008 წლიდან ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის (მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ

წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრად. 2010 წელს მოხდა სასწავლებლის ლიკვიდაცია.

2014 წლის 17 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა საჯარო-სამართლის იურიდიული პირი - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დაფუძნება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა კრიტიკული ვითარება პროფესიულ განათლებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობის კუთხით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 თებერვლის N69 ბრძანების საფუძველზე შექმნილი „ახალი პროფესიული საგანმანეთლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის'' რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა პროფესიული განთლების კუთხით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საჭიროებების შესწავლა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების პროექტის შემუშავება.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოიყენა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის: ''საქართველოს ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის'' შედეგები, შეისწავლა რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებები და რეგიონის ოთხივე რაიონში გამოავლინა პროფესიული სასწავლებლების, როგორც დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების და განვითარების აუცილებლობა.

2014 წლის 17 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #72/ნ ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.